ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა..

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
შაბათი
24
ნოემბერი
№141 (10378)
ფასი 8 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ის დღეები სოფლად

## აქტიურობენ მექანიზატორები

ამინდის ხელსაყრელ პირობებს მაქსიმალურად იყენებენ ახალკახათის კოლმეურნეობაში (გამგეობის თავმჯდომარე ნ. უბილავა, მთავარი აგრონომი რ. ჩიქავა), სადაც შესრულდა ლაო ჩაის დამზადების დავალება. მრეწველობას ჩაბარდა 70 ტონა ლაო ჩაი.

წელს მეჩაიე მშრომელებმა 1180 ტონა ნედლეული დაამზადეს. იმისათვის, რომ მომავალ სეზონშიც უხვმოსავლიანი იყოს ჩაის პლანტაციები, მიმდინარეობს პლანტაციების გადაბარვა, სასუქების შეტანა. წესრიგში მოჰყავთ სადრენაჟო არხები. სამუშაოები გათვალისწინებულია 70 ჰექტარზე.

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით შემოდგომაზე მრავალწლიანი ბალახები დაითესა 15 ჰექტარზე. 15 ჰექტარზე ნათეს ტურნეფსიდან იღებენ მოსავალს. დაამზადეს 600 ტონა სილოსი, რაც 50 ტონით აჭარბობს გეგმიურს. სენაჟი 120 ტონის მაგიერ ჩადებულია 150 ტონა. თივა ადგილზე მოტანილი და დაზვინულია 120 ტონა. ფერმაში იზამთრებს 230 სული პირუტყვი.

105 ჰექტარზე ნათესი მარცვლოვანი კულტურის აღება დასასრულს უახლოვდება.

საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების ვადამდე და ხარისხიანად შესრულება დაისახეს მიზნად იმ ბრიგადებმა, რომლებსაც მერაბ ლესინძე, ივლიანე თორია, თაზიკო რიცვავა, შალვა კვირკველია და თენგიზ შენგელია უძღვებიან.

**ჩვენს მკითხველს შევახსენებთ: თუ გსურთ, 1991 წლის იანვრიდან მიიღოთ გაზეთი „ოდიში", ნუ დააყოვნებთ ხელმოწერას. გაზეთის საცალო ფასი 5 კაპიკია.**

1 წლით — 7 მან. 80 კაპ.
6 თვით — 3 მან. 90 კაპ.

## გაუქმდა პირველადი პარტიული ორგანიზაცია

ამა წლის 16 ნოემბერს გაიმართა სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი საქალაქო საბჭოს აღმასკომის დეპოლიტიზაციის შესახებ.

კრებამ აღნიშნა, რომ ამა წლის 14-15 ნოემბერს რესპუბლიკაში ჩატარდა პირველი მოწვევის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომლის დეპუტატები არჩეულია მრავალპარტიული არჩევნებით, რაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი ერის ისტორიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნისტებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირობებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები იყოს დეპოლიტიზირებული და მიიღეს დადგენილება საქალაქო საბჭოს აღმასკომში მიზანშეუწონლად ჩაითვალოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის არსებობა და ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველადი ორგანიზაცია.

მრეწველობა — 90

## არის სიახლე

ქართული ჩაის ღირსების დაცვის საქმე უპირველეს ამოცანად დაისახეს კახათის ჩაის ფაბრიკის (დირექტორი ო. ქითანავა, მთავარი ტექნოლოგი ვ. ჯინჯოლავა) მუშაკებმა, სპეციალისტებმა.

გასულ სეზონში მათ მიიღეს და გადაამუშავეს 6.000 ტონა ჩაის ნედლეული. გამოშვებულია 1500 ტონა „შავი ბაიხის" ჩაის მზაპროდუქცია. გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი და პირველი ხარისხის ხვედრითმა წილმა შეადგინა 92 პროცენტი, რაც 7 პროცენტით მეტია გეგმიურზე.

დაიწყო ახალი სეზონისათვის მზადება. არის სიახლე. ფაბრიკაში დამონტაჟდა გრანულირების ხაზი — რომლის დანიშნულებაა უნარჩენო წარმოება. მიმდინარე შეკეთებას ექვემდებარებოდა საგრეხი და სახმობი საამქროები. ეს სამუშაოც დაწყებულია და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ამჟამად მოქმედი დამხარისხებელი საამქროს პროცესების დამთავრებისთანავე დაიწყება მისი შერემონტებაც.

წლების მანძილზე მანქანა-დანადგარებს თავს დასტრიალებენ სარემონტო ბრიგადის (ხელმძღვანელი გენადი გუგუჩია) წევრები.

## ერთობას ვერავინ გვასწავლის

საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენები მეტად რთული და დამაფიქრებელია. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებს ეუფლება ორნაირი განწყობილება. სიხარული, შინაგანი კმაყოფილება იმის გამო, რომ მთელმა ხალხმა გამოიჩინა შესაშური ერთსულოვნება და ზურგი აქცია იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც ასე აფერხებდა ჩვენს ზნეობრივ და ეკონომიკურ აღორძინებას.

ამ ამაღლებულ განწყობილებას შინაგანი შეშფოთებისა და საფრთხის განცდაც ახლავს. ამას ბადებს თვით დაძაბული სოციალური ვითარება, პოლიტიკური კრიზისი, რამაც მთელი ქვეყანა მოიცვა. საყოველთაო გაჭირვების და არასტაბილური ვითარების ფონზე გაიმართა ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია. მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი საკანონმდებლო აქტი, სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებები, რომლებიც თვისობრივად ახალ ეტაპს ამზადებენ ხვალინდელი საქართველოსათვის. ამ დღეებშიც ყოველი ჩვენგანი განუზომელი ინტერესით მიადევნებს თვალს უზენაესი საბჭოს მორიგ სხდომას. ეროვნული პარლამენტის ერთსულოვანი მხარდაჭერით მუშავდება ახალი კანონები, რომლებმაც ხვალ და ზეგ ძირფესვიანად უნდა შეცვალოს საზოგადოებრივი განვითარების კურსი, ადამიანისაკენ, მისი სოციალური გარანტიებისაკენ უნდა შემოაბრუნოს მთავრობის ძალისხმევა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონ აკაკი ასათიანის გამოსვლაში მთელი სიგრძე-სიგანით და ცალსახად გამოიხატა მთელი ქართველი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. იგი იბრძვის თავისი ეროვნული სტატუსის დამკვიდრებისათვის. ამ გამოსვლაში ისიც მკაფიოდ ითქვა, რომ საქართველო თვითიზოლაციის გზას კი არ ადგება, არამედ მომავალშიც გააღრმავებს კეთილ სამეურნეო თუ კულტურულ კავშირებს მოძმე ხალხებთან. მათ შორის რუსეთის რესპუბლიკასთან. მაგრამ ყველასათვის ერთდა სამუდამოდ ცხადი უნდა გახდეს, რომ ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს რაიმე ფორმით საკუთარი სუვერენიტეტის ხელყოფას. იგი ბოლომდე იბრძოლებს დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, გახდება თავისი ბედის განმგებელი.

ამასთან ყოველი ჩვენგანი მოწმეა იმ მძაფრი რეაქციისა, რაც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ გამოხატეს სესიის მონაწილე დეპუტატებმა, პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერების კონსერვატულმა ნაწილმა. ჩვენთვის გასაგებია თვით პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის დამოკიდებულება ახალი პოლიტიკური რეალობისადმი. თვინიერი და დამჯერე რესპუბლიკების მოყვარული ცენტრი, რა თქმა უნდა, ყოველნაირად ეცდება ჩვენთან წამოწყებული დემოკრატიზაციის პროცესები შეაფერხოს. მაგრამ ყოველგვარ პროვოკაციას ჩვენმა საზოგადოებამ საგანგებო ერთიანობით უნდა უპასუხოს. უნდა გაგვაერთიანოს საქართველოს და ერთმანეთის სიყვარულმა. ის, ვინც დღეს პარტიულ ინტერესებს საქართველოს ბედ-იღბალზე, მის სახვალიო ამოცანებზე მაღლა დააყენებს, შეგნებული მტერია.

მთელი ჩვენი ხალხისთვის ამ გადამწყვეტ, ურთულეს და უმტკივნეულეს ისტორიულ მონაკვეთზე ყველამ უნდა გავითავისოთ ერთი ჭეშმარიტება: ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდება ზნეობრივი აღორძინება, იმ მანკიერებათა დაძლევა საკუთარ თავში, რაც ტოტალიტარულმა რეჟიმმა გვიანდერძა. არ უნდა ვათქმევინოთ არავის, რომ შური და დაუნდობლობა ქართული ხასიათის თანმდევი ფენომენია. პირიქით, მტერიც და მოყვარეც იმაში უნდა დარწმუნდეს, რომ ქართულ სისხლში უფრო სიყვარული და თანალმობა ბუდობს. არადა, მიამიტები არა ვართ, რომ ამ ტრადიციული მორალური ორიენტირებიდა ტრაგიკული გადახვევების ფაქტებმა არ შეგვძრას. რას არ გაიგონებ ამ საოცრად აწეწილ დროში. ადგილი აქვს ქურდობის, ტაციობის, მკვლელობის, გაუპატიურების შემაძრწუნებელ შემთხვევებს. და თუ ამდაგვარ გამოვლინებებს ყველანი ერთად წინ არ აღვუდგებით, დანაშაულის ტალღა წაგვლეკავს.

ხალხს სჯერა და ჩვენც, რედაქციის კოლექტივს ერთი წუთით არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ განახლების ტალღას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ქართველ კაცში არ დაშრეტილა ჭირთათმენის მამა-პაპური ძალა. ჩვენ უცილოდ შევძლებთ აღორძინებას. შევძლებთ ქრისტიანული სიყვარულით, სიმტკიცით, ერთობით.

ა-წ 30 ნოემბერს, დღის 13 საათზე, საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილება აწყობს შეხვედრას ზუგდიდელ მწერლებთან. გადაწყვეტილია მათთან ერთად განიხილონ განყოფილებისა და რედაქციის მუშაობის საჭირბოროტო საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროის კარნახით

# ნაყოფიერად ვეღვაწოთ

ჩვენი რეგიონიდან არჩეული დეპუტატები ალბათ თავად დარწმუნდნენ იმაში, თუ რაოდენ ერთსულოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინეს ამომრჩევლებმა. იმ ადამიანთა უმრავლესობამ, ვინც სამივე საარჩევნო ოლქში სასარგებლო ხმა მისცა თავის რჩეულებს, მთელი სიგრძე-სიგანით აღიქვა და გაითავისა მათი წინასაარჩევნო პროგრამა, მაგრამ აქ მხოლოდ ჩაფიქრებული სამოქმედო გეზის თავისთავადობაზე არ არის საუბარი. თავს იჩენს მოქალაქეობრივი ღირსების ფაქტორი. ხალხს ურყევად სჯერა, რომ სწორი არჩევანი გააკეთა. და ეს რწმენა სურს წინ ლამპიონად მიუძღოდეს ავგიას თავლაფქცეული ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ბრძოლის გზაზე. ჩვენგან არჩეულ ზუგდიდის სახელოვან შვილებს უნდა სჯეროდეთ, რომ 28 ოქტომბერს საარჩევნო ყუთებთან მოვალეობის მოხდის მიზნით არავინ მისულა. ყოველი კენჭის უკან იდგა კონკრეტული მოქალაქე თავისი გამოკვეთილი პოზიციით, მრწამსით, მომავლის მისეული ხედვით.

არ გავკადნიერდები და ყველას სახელით არ მივმართავთ ახლადარჩეული პარლამენტის წევრებს. ვიტოვებ ჩვენთვის სუვერენულ უფლებას, საკუთარი დამოკიდებულება გამოვხატოთ ზოგიერთი საკითხის მიმართ. კერძოდ, გვინდა ჩვენმა დეპუტატებმა, ან ყოველშემთხვევისათვის ერთერთმა მათგანმა მაინც თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში გამოკვეთოს რამდენიმე მიმართულება, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური საკითხი. ჩვენს ნიადაგებს, ტყეებს, წყლებს, მაერს უპირთ, როგორც არასდროს. გვჯერა, უცილოდ მოიკითხავთ და გაერკვევით, თუ რა დოზით შეაქვთ ჩვენს ფართობებში მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები. ხდება თუ არა ადგილებზე მავნე აირების კონცენტრაციების დასაშვები ნორმების შესწავლა და მათი ანალიზი.

თუ დასავლეთ საქართველოს რიგ ჩაის ფაბრიკებში შეძლეს თბოდანადგარით შეეცვალათ 1000 ტონა მაზუთის გახარჯვა წელიწადში, რატომ არ უნდა მოხერხდეს ჩვენი რეგიონის ფაბრიკებში და სხვა საწარმოებშიც ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენება? ვიმედოვნებთ, რომ ენერგიულად, სათანადო კომპეტენციით და პრინციპულობით შეიმუშავებთ და განახორციელებთ ამ კუთხით გასაწევ ღონისძიებათა კომპლექსს.

თქვენ უცილოდ დაინტერესდებით ჩვენი მდინარეების ბედით. სამზეოზე გამოიყვანთ ყველა იმ ბრაკონიერს, ვინც ჩვენს ფლორას აჩანაგებს, ყველა იმათ, ვინც ჩვენს წყალსატევებს აბინძურებს. სხვანაირად აღარ გვექნება თვალწარმტაცი კოლხეთი, თავს ვეღარ მოვიწონებთ ბუნებრივი სიმდიდრეებით.

ჩვენი სურვილია, დროისა და ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმოთ რეგიონში შემონახულ კულტურის ძეგლებს, საერთოდ თქვენ, და თქვენს გვერდით ყოველმა ჩვენგანმა მეტი უნდა ილვაწოს სამეგრელოს რაიონებს შორის სულიერი, ინტელექტუალური კავშირების გაღრმავებისათვის. ზუგდიდის ინტელიგენციამ ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით საგანგებო მოძღომება უნდა გამოიჩინოს, რათა უფრო მეტად წარმოჩნდეს ჩვენი კუთხის კულტურული პოტენციალი.

არსებობს გადაწყვეტილება, სათანადო პროექტიც, რომ ზუგდიდში აღიმართოს ცოტნე დადიანის ხსოვნის უკვდავმყოფი მემორიალური კომპლექსი. მას უცილოდ უნდა შეესხას ხორცი, დაე, ამ დიდებულმა სახემ მარად შეგვიტოკოს ჩვენ ეროვნული ღირსებისა და ზნეობის ის გენეტიკური კოდი, ამ ეროვნული გმირისაგან რომ გადმოგვეცა მემკვიდრეობით.

ჩვენ, ზუგდიდელებს გვეამაყება, რომ ახლადარჩეულ უმაღლეს საბჭოში ყოველი თქვენგანი უაზლვრო რუდუნებით, თავდაუზოგავად ილვაწებს ხვალინდელი საქართველოს კეთილდღეობისათვის.

გაზეთ „ოდიშის" რედაქციის კოლექტივი.

# სამეცნიერო სესია

ამ დღეებში ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის ისტორიული მუზეუმის საქტო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელსაც მუზეუმის მეცნიერ მუშაკებთან ერთად ესწრებოდნენ ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, უფროსი კლასის მოსწავლეები, ინტელიგენცია.

სესიაზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, იონა მეუნარგიას სახლმუზეუმის დირექტორმა ჯ. როგავამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „აკაკი წერეთელი და იონა მეუნარგია".

სამეცნიერო ცენტრის—ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის დირექტორის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. არახამიას მოხსენების თემა იყო „ოდიშის საერისთაო მე-15 საუკუნეში".

მუზეუმის წამყვან მეცნიერთანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. პაჭკორიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „მიურატების მოღვაწეობა საქართველოში".

სესიის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს მუზეუმის მეცნიერთანამშრომლის მ. ქობალიას მოხსენება თემაზე: „დავით დადიანის (ნოღელის) ლიტერატურული მემკვიდრეობა".

თვალსაზრისი

# გავუფრთხილდეთ საზოგადოებრივ საკუთრებას

ალბათ დღეს ყველასათვის არ არის ცნობილი, რომ კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ მისი მთელი ქონება გადადის ხალხის საკუთრებაში და ყველა მას მიიღებს თავისი წვლილის მიხედვით, თუ რა აქვს მას ჩადებული ამ საკუთრების შექმნაში მაგრამ ზოგიერთთა მცდარი აზრი თუ გამართლდა დასარიგებელი არაფერი არ დაგვრჩება. ბევრი შინა თუ გარეშე პირი კანონიერი თუ უკანონო გზით ცდილობს ხელში ჩაიგდოს კოლმეურნეობის ქონება, არ უფიქრდება. იმას, რომ შეიძლება კოლმეურნეობა დაიშალოს, მაგრამ სოფელი ხომ არ დაიშლება, მოსახლეობა ხომ დარჩება, წარმოება გაგრძელდება და ამჟამინდელი კოლმეურნეობის ქონება დასჭირდება სოფელს, როგორც ეს აქამდე სჭირდებოდა. ამიტომ ხელაღებით მისი გაცემა არ მიმაჩნია სწორად.

ყურადღებას მოითხოვს მიწა, სახნავ-სათესი სავარგულები და მიწის სხვა სიმდიდრენი.

როგორც ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მოვისმინეთ,— რესპუბლიკაში სახნავი შემცირებულია მილიონ 800 ათას ჰექტარიდან, 800 ათას ჰექტარამდე, ანუ ერთ სულ მოსახლეზე იგი არ აღემატება 1300 კვადრატულ მეტრს. ჩვენს სოფელში კი ეს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 800 კვადრატულ მეტრს უდრის.

ამ უკანასკნელ პერიოდში უმოწყალოდ ნადგურდება სახნავ სათესი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მაღალნაყოფიერი მიწები. არის ფაქტები მრავალწლიანი ნარგავების ამოძირკვისა და სამოსახლოდ გაცემის, რაც არასწორად მიმაჩნია.

პირველ რიგში იმიტომ, რომ მრავალწლიანი ნარგაობისათვის ნიადაგის გაკულტურებაში ჩადებულია დიდძალი კაპიტალდაბანდებანი. უკიდურეს შემთხვევაში მოსარგებლემ ნარგავების საბალანსო ღირებულება ან მისი ერთი ან რამდენიმე წლის მოსავლის ღირებულება მაინც უნდა გადაუხადოს კოლმეურნეობას, რომელიც ჩაირიცხება განუყოფელ ფონდში და მოხმარდება კოლმეურნეობის საერთო (გზების ხიდების მშენებლობას და სხვა) ღონისძიებებს, ან კოლმეურნეობის დაშლის შემთხვევაში გადაუნაწილდება მოსახლეობას.

ის მინდა ვთქვა, რომ დღეს რაც კოლმეურნეობას გააჩნია, იგივე მისი წევრების საკუთრებაა და თუ იგი დღეს საზოგადოებრივია შეიძლება ხვალ და ზეგ მისი წევრები საკუთრება გახდეს, ამიტომ მას სჭირდება დაცვა და განსაკუთრებული ყურადღება. მითუმეტეს ახლა, ვინაიდან საღღეისოდ არ არის დაკანონებული საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დამოკიდებულება. არ არის გამორიცხული, რომ ისარგებლონ მომენტით და დაუმსახურებელმა გარეშე პირებმა ხელში ჩაიგდონ ხალხის ნაოფლარი, მისივე მარჯვენით შექმნილი საგანძური. სწორედ ამ შემთხვევაში გვმართებს გონების მოხმობა. უნდა ვიქონიოთ შიდა წესრიგი. თანასოფლელებს ერთი პირი უნდა გვქონდეს. სოფელი არსებობდა და უნდა იარსებოს.

ბ. ჯოჯუა.

ახალსოფლის კოლმეურნეობის ბუღალტერი.

# ცაც ლამაზია, ბარიც ლამაზი

მწუხრის იდუმალი ხმებით დაბანგულა არემარე. ლაქაშებიდან ნიავს მოაქვს ვასაკას გულისწამღები კრუალი. ტლაპოდან ეს-ეს არის ზლაზვნით წამოიმართდნენ ტანგაგრილებული კამეჩები. კიდევ ცოტა ხანი და ცის ტატნობზე ამოცურებული პირბადრი მთვარე თავის ვერცხლისფერ შუქს მოაფენს ივლისის ხვატით გადახურებულ ტყესა და ჭალებს. და ასე იბადება ოდიშის შუაგულში თუთარჩელა ღამე. კოლხეთის წარმართულ ღვთაებათა მადლით სხივფენილ ამ ენით აუთქმელ მისტერიას ძნელია მოუძებნო დასაბამი. მას არც დასასრული ექნება ოდესმე.

სამეგრელო—ეს ის დალოცვილი, ღვთით ნაკურთხი მხარეა საქართველოსი, რომელსაც თავისი ამაყი და გარჯის მოყვარე ხალხით, სიმტკიცითა და შეუპოვრობით დაუცავს მარხართგან თავისი სამშობლოს სამანები. ამ თვალწარმტაც კუთხეში იშვა ოქროს საწმისის, მისტერიალური სიბრძნის ძიების მშვენიერი ლეგენდა. ეს ის საოცარი ქვეყანაა, რომელსაც ვერც ირანულმა მაზდეანობამ და ვერც ბიზანტიის ექსპანსიამ ვერ მოუშალა თავისი სულიერი თვით მყოფადობა. ეს ის ქვეყანაა, რომელმაც იბერიის მხარდამხარ

## გამოჩნდება გზა ხსნისა

გული გადაუხსნა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის, მისი ეროვნული ცნობიერების დაცვის საქმეში ისტორიული ოდიშის მონაწილეობა და მის ხალხს ყოველთვის უთქვამს თავისი სიტყვა. განგებამ კალთადალოცვილი მიწა, ფირუზისფერი ცა და სიყვარულის ღვთიური ნიჭი აგვიბოძა.

ეს წინანდელი კოლხეთია, ლამაზი და სახიერი. მაგრამ მე სხვა ზუგდიდიც მხიბლავს. დღევანდელი, ათასნაირი საფიქრალითა და ვასაჭირით შეჭირვებული. მაგრამ რაც არ უნდა გული შეღონებული მქონდეს ამ საოცრად ამტუტებულ დროში, პეწი და ლაზათი მაინც თან ახლავს. დღევანდელ ზუგდიდს შინაგანი მშვენიერება უფრო ამკობს. სულის ძალა და თვითდაჯერებულობა ქარგავს ამ სილამაზეს ყოველი ჩვენგანის არსებაში.

დიახ, ამასწინანდელ არჩევნებში გამარჯვებული ზუგდიდის და ზუგდიდელების სულის ძალაზე და გულის მადლზე გვექნება საუბარი. განა ერთსა და ორს, ბევრს ეგონა, ეს არჩევნები ჩვენი გულის თარგზე არ არის გამოჭრილი, მას ისევ ის ძალა მოიგებს, ვინც ამომრჩევლებთან პირმოთნე დიალოგს ნაჩვევია. მაგრამ არ გაუმართლდათ არჩევანი. არ გაუმართლდათ ყველა იმათ, ვინც ძველი, გატკეპნილი გზით ცხოვრების გაგრძელება მოიწადინა. ხალხის გულის ძირის ძირამდე ჩასული ბოღმა და ტკივილი მათ თბილ სავარძლებს და გასქელებულ ჯიბეებს დღემდე აპეზარი ბუზივით გარს უვლის. იმან, ვინც წლების მანძილზე ბნელში ფათურს იყო მიჩვეული, ერთბაშად შემოჭრილ სინათლის ზოლს თვალი ვეღარ გაუსწორა. დაფრთხა, ცხოვრების წესის, ზნეობის შეცვლის საგანგაშო ზარად მოეჩვენა აღზევებული თანამოქალაქეების ყიჟინი. პავლე მოციქულისა არ იყოს, „მისცა მათ ღმერთმა მთვლემარე სული, თვალნი, რომელნიც ვერ ხედავენ და ყურნი, რომელნიც ვერ ისმენენ"...

კი არ გვძულს, ღმერთმანი, უფრო გვებრალება ისინი, ვინც დროის მიერ მოტანილ სიახლის ქარებს ალმაცერად უყურებს. რამდენჯერ ვყოფილვართ ირონიული ქირქილის მოწმენი: განა ეს ქუჩური მიტინგომანია და ბრბოს ღრიანცელი უშველის საქმეს? აი, სანამდე შეიძლება მივიდეს დაბინდული გონების მიერ წაქეზებული აბსურდული მსჯელობა. ვიღაცას აწყობდა სამშობლოს სიყვარულით შემართული ქართველობის ბრბოდ მონათვლა. ბრბო შეიძლება რაღაც ფანატიკური იდეით, სიძულვილის სინდრომით, გაუცნობიერებელი მიზნით შეკვრულ უმართავ მასას უწოდო, რომელიც მზად არის ყველასი და ყველაფრის გასათელად. მაგრამ თავისუფლების წყურვილით სულიან-ხორციანად შეკრულ პატრიოტთა საკრებულოს ბრბო როგორ უნდა შეჰკადრო, სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეით მართულ მასას საძრახი ეპითეტი როგორ უნდა მიაკერო.

მაგრამ ჩვენი ზუგდიდი ყოველგვარ გათიშულობაზე მაღლა დადგა. შესაშური პოლიტიკური ალღო გამოიჩინა. თანამემამულეთა აბსოლუტურმა უმეტესობამ სწორედ დემოკრატიული მსოფლმხედველობით აღჭურვილ პიროვნებებს მისცა ხმა, იმ ძალებს, ვისაც მკერდში ჭეშმარიტი მამულიშვილის გული უძგერთ. გვჯერა, ისინი იქნებიან ახალი საქართველოს მშენებელნი, ყოველ ჩვენგანში ზნეობრივი საწყისის დამცველნი.

დღეს კი, საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს კვირაძალზე თითქოს თვალწინ მიდგას გამარჯვებული ამომრჩეველი, მისი სხივფენილი სახე თითქოს მისი გულის ფეთქვასაც ვგრძნობ და უფრო ძალუმად მეუფლება იმედი: გამოჩნდება ხსნის გზა, ეშველება ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს.

ზ. ცაცუნდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძვირფასო მკითხველო!

ვიმედოვნებთ, ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ქართული აზროვნების განვითარებაში „ცისკრის" განსაკუთრებულ როლს ხაზგასმა არ სჭირდება. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ იმ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ნაწარმოებთა უმეტესობა, რითაც დღეს ამაყობს ქართველი ხალხი, „ცისკრის" ფურცლებზე დაიბეჭდა. არცთუ შორეულ წარსულში ეს რედაქციის მხრიდან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ხშირად უსიამოვნებანიც მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, „ცისკარი" თავისი ეროვნული მისიის ერთგული რჩებოდა, დაარსების დღიდან აგერ, სამ ათეულ წელზე მეტია, შეფარვით თუ აშკარად იბრძვის თავისუფალი აზრის დამკვიდრებისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

დღეს საერთოდ ეკონომიკური კრიზისისა და პოლიტიკური ქაოსის ვითარებაში ყველას და ყველაფერს არსებობის უმძიმესი ჟამი დაუდგა. საფრთხე ემუქრება „ცისკრის" არსებობასაც, მომავალი წლიდან იზრდება ჟურნალის სასტამბო ხარჯები, დატარებისა და რეალიზაციის ღირებულება, შესაბამისად იმატებს ჟურნალის ფასიც.

ამ მდგომარეობიდან „ცისკრის" ხსნა ისევ მკითხველის თანადგომასა და მხარდაჭერას შეუძლია. თუ „ცისკრის" ათიათასობით მკითხველი გულს არ იცრუებს თავის საყვარელ ჟურნალზე, მისი არსებობის გადასარჩენად ცოტას კიდევ გაიჭირვებს და ხელმოწერას გააფორმებს მომავალი წლისათვის, ჩავთვლით, რომ ჩვენ ათმაგად ვართ დავალებული მკითხველის წინაშე, ამ ვალის გადახდა კი ახლის ძიებით, ცხოვრების კვალდაკვალ სიარულით და ჭეშმარიტად ღირებული მასალების გამოქვეყნებით შეიძლება.

ჟურნალის სარედაქციო პორტფელში დღეისათვის რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები მოგვეპოვება.

მომავალ წელს დაიბეჭდება ცნობილი მწერლის, ყოფილი პოლიტპატიმრის გივი მაღულარიას ახალი რომანი, აკაკი ვასაძის რომანი, რომელიც ასახავს 1956 წლის მოვლენებს, გამოვაქვეყნებთ ახალგაზრდა მწერლის ზაზა ენუქიძის რომანს, მასში ასახულია დღევანდელ საბჭოურ არმიაში გაბატონებული არაადამიანური რეჟიმი. შემოგთავაზებთ ლევ ტროცკის ცნობილ ნაშრომს „სტალინი", რომლის ბეჭდვა „ცისკრის" პირველი ნომრიდან იწყება. დაიბეჭდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი რუსი მწერლის ვასილ გროსმანის ვრცელი მოთხრობა „ყველაფერი იცვლება". გამოქვეყნდება ბუხარინის სასამართლოს სტენოგრაფია და მისივე საბოლოო სიტყვა. გამოვაქვეყნებთ გასართობი ხასიათის მასალებს —ქართულ და საზღვარგარეთულ ანეკდოტებს, ჰოროსკოპებს და სხვა.

გაგრძელდება ქართული ემიგრანტული ლიტერატურის საინტერესო ნიმუშების გამოქვეყნება, შემოგთავაზებთ საუბრებს საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივ მოძრაობათა წარმომადგენლებთან. მკითხველთა გამოხმაურებებს, აზრებს და წინადადებებს გამოვაქვეყნებთ ცალკე რუბრიკით.

ძვირფასო მკითხველო! წინასწარ გიხდით მადლობას ჩვენი ჟურნალის გამოწერისათვის.

## საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინ

დიდინეძის მეურნეობას ბოლო წლებში რამდენიმეჯერ შეეცვალა პროფილი. ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა სასოფლო წარმოებაში წარმოშვა სხვადასხვა აზრი.. დადგა დრო ქართული სოფელი ძირფესვიანად განახლდეს. სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება მეურნეობის დირექტორი ა. ლობჟანიძე.

# მშრომელთა ქალისხმევით

—დიდინეძის მეურნეობა მრავალდარგოვანი გახლავთ. გვქონდა დარგები მომგებიანი და ზარალიანი. ვერ გაამართლა საზელფოდებმ —დიდინეძის სუბტროპიკული მეურნეობა. არც მეცხოველეობის სასუქ პუნქტს ჰქონია გრძელი დღე. სასუქი პუნქტის უკანასკნელი პარტია სახელმწიფოს ჩავაბარეთ ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. მიზეზი სათანადო კონტინგენტის მიუღებლობაა. არც ერთმა კოლმეურნეობამ არ ისურვა 6 თვიანი მოზარდების სასუქ პუნქტში ჩაბარება.

მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება გახდა სოფლის სპეციალისტების, მშრომელი ხალხის მსჯელობის საგანი. გადაწყდა: გაგვემართა მძლავრი მეღორეობის სასუქი პუნქტი და ამ მიზნით შემოვიყვანეთ 210 დედა-ღორი, ეს იგივე 210 ტონა ხორცია მომავალ წელს. დარგის შემდგომი განვითარების მიზნით მეღორეობისათვის ნაკვალევის უბანში დაწყებულია მეღორეობის კომპლექსის მშენებლობა. აქვე მოეწყობა ღორის საჭრო.

ლადებულია ხელშეკრულება რესპუბლიკის „ჩიბოსპრომის" გაერთიანებასთან. ამ მიზნით არსებული შენობის 6500 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი გადაეცემა მებოცვრეობას, დარგი მომგებიანი უნდა გახდეს, ექსპერიმენტმა უნდა გაამართლოს.

განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ინკუბატორიც, რომლის დანიშნულებაა მოსახლეობას მიეყიდოს ორდღიანი წიწილები. ამ და სხვა ჩანაფიქრს ჩაყრილი აქვს საძირკველი. მართვის ახალ სტრუქტურაზე გადასვლა ხელს შეუწყობს მეურნეობის წინსვლას.

შრომატევადი საშემოდგომო სამუშაოები გრძელდება მეურნეობაში. მიმდინარეობს ერთწლიანი კულტურების აღება. გაგვაჩნია 600 ტონამდე სილოსი, სარეალიზაციოდ გავეცით მწვანე მასა და სხვა.

45 ჰექტარ ჩაის ქვეშ (წელს აღნიშნული ფართობიდან მივიღეთ 350 ტონა მოსავალი), დაწყებულია საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები.

დადგა დრო წლობით დაგეგმილი ნორმებისა და სტერეოტიპების უარყოფისა. მართალია, ჩვენს წინაშე ბევრი სიძნელეებია, მაგრამ ხალხის ძალისხმევა მიაღწევს მიზანს—ეს დღეს ნათელია. ხვალინდელი დამოუკიდებელი საქართველო თავისუფლება ინდივიდუალური მეურნის პირად ინიციატივას, იქნება სტიმული, იქნება დოვლათი.

დღეს, როგორც არასოდეს გვჭირდება მეტი აქტივობა, მეტი ინიციატივა, მეტი თავდადება.

ესაუბრა ზ. აბულაძე.

# სანამდე უნდა იჩეიმოს განუკითხაობამ?

1979-80 წლებში სამხედრო სამსახურს გავდიოდი ავღანეთში. ნორმალურ ქვეყანაში, სადაც რიგების გარეშე ცხოვრობენ, მანქანა და ბინა სათხოვარი არ არის, მაგრამ სამწუხაროდ ურიგოდ მანქანის მიღებით გარკვეული კატეგორიის ხალხი სარგებლობდა ჩვენში. ავღანეთში ნამსახურევებიც ამ კატეგორიაში შევდივართ.

ვირწმუნე მთავრობის დადგენილების რეალურობა და 1984 წელს დავწერე განცხადება ავტომანქანა გაზ—24-ის მიღებაზე, რაც ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ დამპირდნენ „ჟიგულის" მარკის ავტომანქანას.

მაგრამ დაპირება დღემდე დაპირებად დარჩა. დავდივარ ზუგდიდიდან თბილისში საკითხის გასარკვევად, არ დამთავრდა მიმოწერა ვაჭრობის მინისტრს ჯინჯიხაძეს, მისი მოადგილეს წილოსანს და ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. იზორიას შორის. ჩემს წერილზე ასეთ პასუხს იძლევა მინისტრის მოადგილე ა. წილოსანი: „თქვენი განცხადება ავტომანქანის შეძენის შესახებ გადაეგზავნა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1989 წლის 14 დეკემბერს, რომელსაც გამოეყო ფონდი გასანაწილებლად". მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ჩემი თხოვნა კი დღემდე დაუკმაყოფილებელია.

დაპირებებით და შემდეგ იმედის გაცრუებით მორთმინების ფიალა ამევსო. სანამდე უნდა იზეიმოს განუკითხაობამ?

შალვა ჯგუშია.

## აკაკი წერეთელი — 150

# გზა დაულოცა

„როდესაც ჩვენი მწერლობა
თანდათან იშრიტებოდა,
შენ მოგელოდი—ხე წმინდად
და ნახვა მენატრებოდა.
მოხველ თავმდაბლად და ამბობ:
„გეახელ ახალ დვრიტადო",
და მეც რას გეტყვი მოხუცი,
თუ არა „ჭეშმარიტადო".

ეს აკაკი წერეთლის სტრიქონებია, შიო არაგვისპირელზე უთქვამს. შემდეგ აკაკი წერდა: „ვიტყვი გულწრფელად, ნამდვილი განთიადი ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავისი პატარ-პატარა ეტიუდებით, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შიო არაგვისპირელს". (გაზეთი „კვალი", 1896 წელი, №21).

აკაკის განსაკუთრებით მოსწონებია არაგვისპირელის ენა, წერის თავისებური მანერა. გაუხარებია იმასაც, რომ შიოს ახე ეხერხებოდა ცხოვრების შეულამაზებლად ხატვა.

შიო პროფესიით ხომ ბეითალი იყო. ყოველდღიური მომაბეზრებელი საქმე დიდ დროს ართმევდა. თანაც წვრილშვილიანი ოჯახი. იცოდა ეს აკაკიმ და განსაკუთრებული გულისხმიერებით ზრუნავდა შიოზე.

ერთ დღეს იაკობ გოგებაშვილთან ერთად ქუჩაში მიმავალი პოეტი შეხვედრია შიოს. მისალმების შემდეგ შინაურულად მხარზე ხელი დაუკრავს და უთქვამს: —რაშია საქმე, ჩემო შიო. მე შენი დიდი იმედი მქონდა, შენ კი ამ უკანასკნელ დროს ნაკლებადღა წერ ეტიუდებს?

—რა ვქნა, ბატონო აკაკი, ოთხი შვილის მამა გახლავართ. საზრუნავი ბევრი მაქვს და წერისთვის დრო არ მრჩება.

აკაკის შიოს პასუხზე გაღიმებია, მერე იაკობისათვის შეუხედავს და ხუმრობის კილოთი დაუმატებია: —ჰო, ახლა კი მივხვდი, ჩვენი იაკობი რატომ არ ქორწინდება, არ უნდა წერაში ხელი შეეშალოს.

აკაკი არაგვისპირელს მურილიოს ადარებდა, სახელგანთქმულ ესპანელ მხატვარს, რომელმაც პატარა ტილო დახატა, მაგრამ შედევრს წარმოადგენდა.

—ერთმა უნიჭო მხატვარმა მურილიოს სურათის გვერდით თავისი ნამუშევარი —სპილოს დიდი ხურათი მოათავსა, მყვებოდა აკაკი, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. გაოცდა თურმე მხატვარი: ჩემი სურათი ხომ მურილიოს ნახატზე დიდიაო. პოეტი იქვე ასკვნის: ჯერ ბოლოში უნდა მოვიხადო და ვთქვა, უმეტესობას ჩვენშიაც არ ესმის ხელოვნება. ეს პატარ-პატარა ეტიუდები მამლის ყივილივით წინამორბედები არიან ჩვენს ცხოვრება ლიტერატურაშიო.

აკაკი ხშირად სტუმრებია შიოს ოჯახს. სტუმარს ხალისიანი განწყობა შექონდა მეგობრის მყუდრო ბინაში. ცნობილია, რომ ხანდაზმულ აკაკის მხედველობა ღალატობდა და ზომაზე მეტად თავაწეული დადიოდა. შიოს, შიოს პატარა ბიჭს, საოცრად უყვარებია პოეტის წვერში ხელის ფათური.

შიო არაგვისპირელს ვერ წარმოედგინა, რომ ალექსის—აკაკის ერთადერთ შვილს, ქართულ ენაზე მეტყველება უჭირდა. ერთხელ მან მეგობარს მოკრძალებით ჰკითხა:

—ბატონო აკაკი, მართალია, რომ თქვენმა შვილმა ქართულად ლაპარაკი არ იცის? მხცოვანმა პოეტმა შიოს კითხვაზე ჯერ ღრმად ამოისუნთქა და მერე ნაღვლიანად, მაგრამ არაორაზროვნად უპასუხა:

—ჰო, მართალია. ჩემმა შვილმა ქართული იმდენად იცის, რომ მასთან ლაპარაკი ამ ენაზე არ შეიძლება.

შიომ მალე შეიტყო ისიც, რომ ალექსის აღზრდა მამის სურვილით არ წარმართულა, თორემ ბავშვი აკაკის სათაყვანებელ ენას როგორ არ ისწავლიდა.

აკაკის გარდაცვალებამ შიო არაგვისპირელი ძლიერ დაამწუხრა. სხვებთან ერთად ცრემლიანი თვალებით მიაცილებდა უფროსი მეგობრის ნეშტს მთაწმინდის პანთეონისაკენ და გულდაწყვეტილი ამბობდა: სამუდამოდ გაგვიფრინდა ჩვენი ხმატკბილი ბულბული, სულმნათი აკაკი და აღარასოდეს დაგვიბრუნდებაო. მას ოჯახში კი აკაკის სახელი მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებოდა. შიოს შთამომავლობისათვის ახლაც ნეტარმოსაგონარია მათი წინაპრისა და დიდი აკაკის მეგობრობა.

ჟუჟუნა რობაქა.

### ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

# შრომაა უდიდესი სიქველე...

ყველაზე უძვირფასესი ჯილდო, რაც განგებამ გაიღო მოკვდავთათვის შრომის ნიჭია. ყველაფერი ფასეული, რაც ჩვენს განვითარებასა და კმაყოფილებას იწვევს, თავაუღებელი შრომის, თეთრად გათენებული ღამეების, უსაზღვრო რუდუნების ფასად არის შექმნილი. დიდი მიქელანჯელო თვეობით ტანზე გაუხდელი ხატავდა სიქსტის კაპელას. ევარისტ გალუამ სიკვდილის წინადღეს შექმნა თავისი სამოცი გენიალური განტოლება. ნამეტანი დაიღალე ძილისგანო უყვარდა თქმა ფარდობითობის თეორიის გენიალურ ავტორს აინშტაინს, ლოგინიდან რომ დგებოდა დილით. შრომა იყო მისი სტიქია. როცა კითხეს: ბედნიერების თქვენეულ ფორმულას როგორ გამოხატავდითო, ასე უპასუხა: შრომა პლუს ნებისყოფა, პლუს იუმორის გრძნობაო. შესაძლოა, მავანი შემომედავოს: რასაც თქვენ ამბობთ, დიდ ადამიანებზეა „გათვლილი". ჩვეულებრივი, რიგი მოკვდავნი სულ სხვა საზომებს უნდა დაექვემდებარონ. სუსტი არგუმენტია, რა თქმა უნდა, ნიჭის ამბავი ცაში წყდება. ყოველი ჩვენგანის ღწვა-რუდუნების შედეგი მეტ-ნაკლები მნიშვნელობისაა. მაგრამ მოდით, ნუ ვიდავებთ იმაზე, რომ ამ მზისქვეშეთში ნებისმიერ პიროვნებას თავისი ფუნქცია აქვს და იგი კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს. ამ სისტემის სხვა უკუღმართობებთან ერთად ჩვენი უბედურების წყარო ისიც გახლდათ, რომ ყველა არ ღვრიდა თავის წილ ოფლს მინდობილ უბანზე. ზარმაცები და ბედოვლათები როგორც საწარმოო დაზგასთან, ფერმაში, თუ საკონსტრუქტორო ბიუროში, ისე სხვადასხვა რანგის სამოხელეო კაბინეტებშიც იყვნენ მოკალათებულნი.

ზოგი იტყვის, ნიჭით გავიტან, მუშაობას თავს არ დავაკლავო. აბსოლუტურ შეცდომად მიგვაჩნია ასეთი მოსაზრება. ნიჭი ახალმოწყვეტილ ყვავილს ჰგავს, რომელიც განწირულია დასაჭკნობად. სისტემატური შრომაა ის მაცოცხლებელი წვენი, რომელიც ზრდის და ავლენს ნიჭს. მოსწრებულად არის ნათქვამი: შრომისმოყვარე კაცის სხეულში ისევე ვერ გაძლებს უსაქმურობის, ბოროტების ბაცილა, ვითარცა უწყლო აქვარიუმში პაწაწინა ოქროს თევზიო.

არსებობს ცრუ აქტიურობა, მოჩვენებითი ფუსფუსი. მაშხალასავით ანთება კაცი და უმალ ჩაქრება. ეს მანკიერი თვისებაც ტოტალიტარულმა რეჟიმმა გაალაღა. წესად იქცა ნაღდის იმიტაციად, რეალურის ფარსად გარდასახვა. იფიქრეს, ამას არავინ მიგვიხვდება. მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. რეალურს და სასურველს შორის უხვად ჩამოკონწიალებული ბრჭყვიალა სატყუარები კარგად გაარჩია ხალხმა.

ნაღდი, მშრომელი კაცი მუდმივად ანთია, მზესავით ათბია. ასეთი გამრჯე ადამიანების დაკოჟრილმა ხელებმა უნდა აალორძინოს საქართველო.

მამულიშვილნო! ახლა ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავირჯებით. სულისა და ღონის მაქსიმუმი ზვარაკად უნდა მივიტანოთ სამშობლოს საკურთხეველთან.

ჯ. თელია.

# შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილება იტყობინება:

ამა წლის 6 ნოემბერს შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონულ განყოფილებას განცხადებით მიმართა მოქალაქე ო-პ-მ, სადაც უჩიოდა დაუდგენელ პირს, რომელმაც შეიტყუა იგი ქალაქ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში და გააუპატიურა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგენილ იქნა ბოროტმოქმედი — ქ. ზუგდიდის დგებუაძის ქუჩა №16-ში მცხოვრები ბაბუში ელვარდის ძე შენგელია.

* * *

19 ნოემბერს, სალაროს, სოხუმის ქუჩაზე მდებარე „ბაზართან" გაჩერებულ საქალაქთაშორისო გადაზიდვის სატვირთო ავტომანქანიდან ნივთების ქურდობის ფაქტზე დაკავებულ იქნა ქალაქ ოჩამჩირის მკვიდრი, ადრე ნასამართლევი გოჩა ლუდას ძე მაქაცარია.

* * *

დაკავებულია დამნაშავეთა ჯგუფი: კერძოდ, ადრე ნასამართლევი გენადი გურამის ძე ჭურღულია, მერაბ ძუკას ძე ლაგვილავა და ანატოლ ბარნობას ძე ცაცუა, რომლებმაც გალის რაიონში მცხოვრები ბადრი ტაბაღუასა და ირემა ცხუცხუბაიას „დაკვეთით" გაიტაცეს გულრიფშის რაიონში მცხოვრები ჯალალონის [illegible] და მიჰყიდეს მათ.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

* * *

ავტომანქანის ქურდობის ფაქტზე დაკავებულნი არიან კახათელი, 1973 წელს დაბადებული ზაზა რევაზის ძე ჯიქია და სოფელ რიყეში მცხოვრები ბესიკ სოსოს ძე გვირგვლიანი.

### შიდსი — საუკუნის „შავი ჭირი"

# ფრთხილად ვიდრე გვიან არ არის

მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს შიდსის გავრცელების, პროფილაქტიკისა და დაავადებით გამოწვეული საშიშროების შესახებ.

შიდსის გამომწვევია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივი). იგი ვრცელდება სქესობრივი კავშირით. ხშირად ადამიანი ხდება ინფექციის წყარო ისე, რომ მან ამის შესახებ არაფერი არ იცის. მიუხედავად მეცნიერების დიდი ჯგუფის მუშაობისა დღეისათვის შიდსის მკურნალობის რადიკალური საშუალება არ არსებობს. აღწერილია შემთხვევები, როდესაც დედიდან ინფექცია გადაეცა ნაყოფს. დედას მშობიარობის შემდეგ გამოკვლევებით აღმოაჩნდა შიდსის გამომწვევი ვირუსი.

ვირუსის ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო გზით გადაცემა (კოცნა, ხელის ჩამორთმევა, აბანოში ან აუზში ბანაობა, საერთო სარგებლობის ჭურჭლის ხმარება და სხვა), ავტორთა საერთო აზრით არ არსებობს. ამას რასაკვირველია თავისი ახსნა აქვს. ვირუსი ბუნებრივი გზით გამოიყოფა სპერმასთან და სისხლთან ერთად. ინფიცირებული სპერმით გარემოს სხვა რაიმე ელემენტის გაჭუჭყიანება გამორიცხულია, რაც შეეხება ნერწყვის საშუალებით ვირუსის გადაცემას, ზოგიერთი ავტორი საეჭვოდ თვლის ნერწყვში ვირუსის არსებობას, შეუძლებელია ნერწყვში ვირუსი იყოს ისეთი კონცენტრაციით, რომელიც საჭიროა ინფექცირებისათვის, ე. ი. კოცნით ინფექციის გადაცემა გამორიცხულია. მიკრო ტრავმების დროს სისხლით ინფექციების გადაცემის შესაძლებლობა აღნიშნულია ლიტერატურაში საპარიკმახეროებში, წვერის გაპარსვის, პედიკიურისა და მანიკიურის გაკეთების დროს, თუმცა ისინი გამორიცხული არ არის იქ, სადაც არ იცავენ სანიტარულ წესებს.

შიდსის რადიკალური პროფილაქტიკის საშუალებები თვით ადამიანის ხელშია. არსებობს სქესობრივი კავშირის დროს მექანიკური თავდაცვის საშუალება — პრეზერვატივი. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ პირთა გამოკვლევა, რომელთაც შემთხვევითი კავშირი ჰქონდათ ამა თუ იმ პირთან. ამ დროს მათვე უნდა იზრუნონ საკუთარ თავზე და ოჯახის კეთილდღეობაზე. ინფიცირებაზე საეჭვო პირთა სრულყოფილი გამოვლინება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად დაეხმარებიან სამედიცინო პერსონალს გამოვლინონ დაავადებული პირები, ან ვირუსის მატარებლები მათთან სქესობრივ კონტაქტში მყოფ პირთა დადგენაში.

უფრო რთული პრობლემაა პროფილაქტიკა იმ ნარკომანთა შორის, რომელთაც ნარკოტიკული ნივთიერება შეყავთ ვენაში არასტერილებული შპრიცებითა და ნემსებით. შიდსის კლინიკური ნიშნებია: საერთო სისუსტე, ოფლიანობა, ლიმფური ჯირკვლების გადიდება (განსაკუთრებით იღლიისა და კისრის ქვეშ), წონაში დაკლება და სხვა.

შიდსი მსოფლიო პრობლემაა, ყურადსაღები მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაშიც. შიდსმა შეიწირა ახალგაზრდათა სიცოცხლე. ცხოვრების ჯანსაღი წესი — სიწმინდე სქესთა ურთიერთობაში, ცოლ-ქმრის ერთგულება, ზნეობრივი და მორალური სიწმინდის დაცვა შიდსის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო საშუალებაა.

ბ. თორდია,
ჯანპუნქტის გამგე, სანიტარულ თავდაცვის ფრიადოსანი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

ქ. ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება ამავე სკოლის პედაგოგის

**დავით ბიქტორის ძე მაქაცარიას**

გარდაცვალებას.

---

წალენჯიხის სატყეო სამრეწველო კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ილია ბერულავას მამის

**აკაკი ილიას ძე ბერულავას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ქსენია, შვილი ხვიჩა, ძმები: შაზი მესხია, ბესა კაკაჩია. სიძე ვალიკო ჩალიგავა. რძლები: ფატი, ლუბა, ცოლისდები ოლია, თინა, ნელი იზორიები. ქვისლები: ანტიფო როგავა, ნოდარი აბსანძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ამირან ლევანის ძე მესხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 ნოემბერს. დაკრძალვა 27 ნოემბერს სოფ. დიდინეძში.

---

დედა ლუარა, მეუღლე ნანა გვილავა, დები: მარინა, მაია, მანანა, დეიდა ალინა ფიფია, ბიძაშვილები როინი, გია ნოდარი გოგოხიები. მამიდაშვილები: ვახტანგ ალანია, ნინო შანავა. სიძეები: ვახტანგ საბახტარიშვილი, დავით ჩხეიძე. დისშვილები: ნინო. გიორგი. ნიკო. სიმამრი ილია გვილავა. ცოლისდა ანა, ცოლისძმა ლადო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დათო გალაქტიონის ძე გოგოხია.**

პანაშვიდი 24, 25, 26 ნოემბერს, დაკრძალვა 27 ნოემბერს 16 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, წმინდა ნინოს ქუჩა 59.

---

ზუგდიდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სისტემის თანამშრომლები იუწყებიან ცაიშის ი. მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტრის

**შოთა იონას ძე გოგიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზრდილი გულნარა ფუტკარაძე, დისშვილები: ჯვებე, ბორისი. როზა. ბონდო ფუტკარაძეები. ძმისშვილები: იმედი, მაყვალა კუტალიები. რძლები: ვალია. მერი. ნათელა. მოკონა. სიძეები დემურ დარსალია, გუჯუ სალია. ტოტო მესხი. ხათუნა, პაპუნა. გოდერძი. გიორგი ფუტკარაძეები. ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**მარგალიტა თედორეს ასულ კუტალიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ნოემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ოსტროვსკის ქ. 13.

---

რიყის სასოფლო საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობის გამგეობა პროფკავშირის კომიტეტი და ომის ვეტერანთა საბჭო იუწყებიან აღმაშენებლის ომის ვეტერანის

**ჯამბულ ამირანის ძე ქარჩავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ლიდო. მეუღლე აზა, შვილები თორნიკე, კაკო. და ლორიტა. ბიძია დათუშა ფაჯავა. სიძე ვალტერ ხუფაცარია, სიდედრი ფაციკო, სიმამრი ჩოქორი შედანია. ბიცოლები ვენერა. ნათელა. ცოლისდა ემა. ცოლისძმა ჯუანშერი. დისშვილები ვარლამი. დათო ხუფაცარიები. ბიძაშვილები ლალი. ბეჟანა კუკავები, ლუიზა. ნინო. მერაბი. ემზარი ფაჯავები იუწყებიან

**ინვერ კაკოს ძე ფაჯავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 ნოემბერს. დაკრძალვა 27 ნოემბერს, სოფელ კახათში გამოსვენება გამარჯვების ქ. 26.

---

რიყის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის საწარმოო აპარატი იუწყებიან კოლმეურნეობის ყოფილი ბუღალტრის

**შოთა იონას ძე გოგიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ვახტანგი. სერო. კოტე. ლევანი. ნატო. დები: ვენერა: ხოთო. ქსენია. ვარდიშა. ძმა ნოდო. რძლები ჟუნა. თამარა. ქეთო. ნარგიზა. ნუნუ. ლიანა. აზა. დარიკო. მზია. სიძეები: რუბენ ქობალია. შოთა ჩოკორაია. ძმისშვილები: ნაზი. თინგიზი, აბესალომ, მანანა. ნანული. დათო. ასმათი. დისშვილები: გურამი. დინა. ნონა. ზურაბი. ბიჭი. ცოლისდები ჟუნა. მავრა. თალიკო. ეთერი. ნელიკო. ცოლისძმები: ლუჩიკო. მეგონა. კვარაცხელიები. შვილიშვილები: პაატა. პაპუნა. სოფიკო. შორენა იკა. ზვიადი, ლია. თემური. დათო. ასმათი შამუგიები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**კრემენტო დიმიტრის ძე შამუგიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 ნოემბერს. დაკრძალვა 27 ნოემბერს ოქტომბერში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78 მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 17 00

ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000 შეკ. № 5019

ეროვნული ბიბლიოთეკა